ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5608547

ნომერი: AR1850803

თარიღი : 15.09.2021

გაცემის თარიღი : 22.09.2021

გაცნობის თარიღი : 29.09.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო , პატარა ლილო - აეროპორტი , (ნაკვ.08/005);

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ხაჩიძე პ/ნ 57001014906
- ქ.თბილისი,თემქა X კვარტ კორპ 38ა ბინა 30

ნომენკლატურა :

- რკინიგზა
- IV კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: სს '"საქართველოს რკინიგზა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202886010
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შოთა ხაჩიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 57001014906

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 216092.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 224.55
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 2470.05

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 2470.05
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 11.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 11.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13- 35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე- 2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე- 3 მუხლის მე- 2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქში კულტურული და ისტორიული ღირებულების მქონდე შენობა ნაგებობების შენარჩუნებასა და მათ სწორ არქიტექტურულ განვითარებაზე.
სამგორის რაიონში, პატარა ლილო - აეროპორტის მიმდებარედ (ნაკვ.08/005) (ს/კ 01.19.31.008.005) მიწის ნაკვეთზე არსებული რკინიგზის სადგურის შენობის დემონტაჟი არ არის მისაღები ვინაიდან ის არის თავისი ეპოქის საინტერესო ნიმუში და მისი შენარჩუნება მნიშვნელოვანია. ღირებულია შენობის მხატვრული გადაწყვეტა და არქიტექტუტურული იერსახე, სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე (განსაჯოს წარმოდგენილი ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე) მიზანშეწონილად არ მიაჩნია ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობების დემონტაჟი. სასურველია სამომავლო განვითარებისათვის შენარჩუნებულ იქნას არსებული შენობის არქიტექტურული და სტრუქტურული ღირებულება და განვითარება მოხდეს არა დემონტაჟის არამედ რეკონსტრუქციის/გამაგრების კუთხით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.